სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05068203644611

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N111424217

რეგისტრაციის თარიღი

29.12.2011 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასთერთმეტი წლის ოცდაცხრა დეკემბერს მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს ნინო ღუდუშაურს, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 მომმართა **ი/მ ქეთევანი ხუციშვილმა (დაბადებული 23.03.1939წ. ბორჯომის რ-ნი, პირადი № 11001017610, მცხოვრები: ბორჯომი, გოგიას ციხის ქ. №13, ინდ.მეწარმის ს/კ 11001017610).** მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.** მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **აღნიშნულმა პიროვნებამ** მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის ტექსტი. აღნიშნულმა პიროვნებამ წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, რის შემდეგ განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავდა მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ი/მ ქეთევანი ხუციშვილი (დაბადებული 23.03.1939წ. ბორჯომის რ-ნი, პირადი № 11001017610, მცხოვრები: ბორჯომი, გოგიას ციხის ქ. №13, ინდ.მეწარმის ს/კ 11001017610),** ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ

თეიმურაზ ქვაჩაკიძეს (დაბადებული 10.12.1951წ. თბილისი, პირადი № 01005002920, მცხოვრები: თბილისი ფოთის ქ. №15)

შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება ინდივიდუალური საწარმოს "ქეთევანი ხუციშვილი"-ს ფუნქციონირებისათვის, რისთვისაც უფლებას ვაძლევ იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, კერძო სტრუქტურებში, მათ შორის საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟოზე, ბანკში, სანოტარო ბიუროში, აწარმოოს ნებისმიერ ბანკში ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, მათ თანხის ანგარიშის გახსნა-დახურვის, შეტანა-გამოტანის, კონვერტაციის, გადარიცხვის, ნაშთის გაგების, ამონაწერის გაკეთების,ინტერნეტ ბანკით სარგებლობის უფლებით, მართოს და განკარგოს გახსნილი ანგარიშები, მიიღოს ი/მ ქეთევანი ხუციშვილის სახელზე გამოგზავნელი ნებისმიერი სახის ტვირთი და აწარმოოს ამასთან დაკავშირებით საბაჟო ოპერაციები და გაფორმება, შეიტანოს ჩემი სახელით განცხადებები და განაცხადები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, ამონაწერი, ანგარიშ-ფაქტურა, გადაიხადოს აუცილებელი გადასახადები, ბაჟები და მოსაკრებლები, ხელი მოაწეროს ბანკში წარსადგენ და სხვა სახის დოკუმენტებს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება და ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მის გაუქმებამდე, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

ხელმოწერა ქეთევანი ხუციშვილი ——— **ი/მ ქეთევანი ხუციშვილი**

გადახდევინებულია სანოტარო მომსახურების საზღაური: -11.80 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ) მე-29 მუხლისა + 2,00 (დღგს-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური (აღნიშნული კანონის 31^{1} მუხლის თანახმად)

ნოტარიუსი: /ნინო მათუაშვილი/